საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის

ა ქ ტ ი

№ 14/00 „13" ივნისი 2011 ქ. თბილისი

"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ"

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების

სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

ალექსანდრე არაყიშვილი

„13" 06 2011 წელი

ეგზ. N2

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

2010 წლის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი

(01.01.10-01.01.11)

სარჩევი

შესავალი.....3

შემოკლებანი.....3

საქმიანობის მოკლე მიმოხილვა.....3

აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები.....4

ძირითადი ტექსტი.....5

1. დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა.....5
2. აუდიტის ობიექტის მიერ საფინანსო-სამეურნეო ოპერაციების განხორციელებისას მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის მდგომარეობა.....6
3. ფინანსური ანგარიშგების შედგენისა და წარდგენის მდგომარეობა.....13

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები.....14

აუდიტის ობიექტის პასუხისმგებელი პირები და გამოყენებული ნორმატიული აქტები.....14

შესავალი

ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის საფუძველი - საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2011 წლის 14 თებერვლის N8/43 და 21 მარტის N25/43 ბრძანებები.

აუდიტის ობიექტი - საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–13 კილომეტრი.

აუდიტის ჯგუფი - უფროსი აუდიტორი ლევან გრიგალაშვილი (ჯგუფის ხელმძღვანელი 14.02.11-20.03.11), უფროსი აუდიტორი ბადრი გრძელიძე (ჯგუფის ხელმძღვანელი 21.03.11-10.04.11), მთავარი აუდიტორი კახაბერ უშიკიშვილი.

აუდიტის პერიოდი - 2010 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 1 იანვრამდე.

აუდიტის ჩატარების ვადა - 14/02/2011 – 10/04/2011 (დაწყება-დამთავრება).

შემოკლებანი:
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია - ცესკო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სსიპ
სსიპ-საარჩევნო სისტემის განვითარების, რეფორმების და სწავლების ცენტრი - ცენტრი

საქმიანობის მოკლე მიმოხილვა

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონებით: "საქართველოს საარჩევნო კოდექსი", "რეფერენდუმის შესახებ", საქართველოს სხვა კანონებით, კანონქვემდებარე აქტებითა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის რეგლამენტით. იგი უზრუნველყოფს არჩევნების, რეფერენდუმის, პლებისციტის მომზადებასა და ჩატარებას, საქართველოს მოქალაქეთა საარჩევნო უფლების სრულ და განუხრელ განხორციელებას, აგრეთვე თავისი უფლებამოსილების ფარგლებში აკონტროლებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საარჩევნო კანონმდებლობის ერთგვაროვან გამოყენებას.

ცესკო-ს სისტემა მოიცავს: აპარატს, არჩევნების ღონისძიებების დაფინანსებას, პოლიტიკური პარტიების დაფინანსებას, სსიპ-საარჩევნო სისტემის განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრს და უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელ საინვესტიციო პროექტებს.

აუდიტის მეთოდი - ახალი მეთოდოლოგიის საფუძველზე ცესკო-ს კონსოლიდირებული ხარჯების არსებითობის დონის გათვალისწინებით ჩატარებული ტესტირების საფუძველზე აუდიტს დაექვემდებარა ცესკო-ს აპარატი, არჩევნების ღონისძიებების დაფინანსება და პოლიტიკური პარტიების დაფინანსება, ხოლო კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენისა და წარდგენის მდგომარეობის შემოწმება შეეხო ცესკო-ს სისტემის ყველა ორგანიზაციულ კოდს.

აუდიტის მნიშვნელოვანი შედეგები

1. ცესკო-მ ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოებისათვის შპს ,,იბერიას" შპს ,,ვესტის" საბანკო გარანტიების საფუძველზე, წინასწარ გადაურიცხა 14.7 ათასი ლარი. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ საბანკო გარანტიების ვადის ამოწურვისას (23.10.10) შესასრულებელი სამუშაოები დასრულებული არ იყო, ცესკოს, შპს ვესტისთვის" და შპს ,,იბერიასთვის" არ წარუდგენია მოთხოვნა საავანსო თანხის დაბრუნების ან ავანსად გაცემულ თანხაზე განახლებული საბანკო გარანტიის წარმოდგენის შესახებ. მიუხედავად ამ ფაქტისა, ცესკო–სა და შპს ,,იბერიას" შორის გაფორმებული იქნა ახალი ხელშეკრულება (15.11.10), რომლის თანახმადაც შპს ,,იბერია" ვალდებულებას იღებდა თუნუქით გადაეხურა ცესკო–ს ადმინისტრაციული შენობის ნაწილი. სახელშეკრულებო თანხა შეადგენდა 3.1 ათას ლარს. გაფორმებულია სამუშაოების მიღება–ჩაბარების აქტი, რომელსაც თან არ ახლავს შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი ფორმა N2. აღნიშნულის შედეგად 17.8 ათასი ლარი 2010 წლის ნაერთი ბალანსის მიხედვით რიცხულია დებიტორულ დავალიანებაში.

2. 2010 წლის იანვარში ,,საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მოთხოვნათა დარღვევით, ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმების გარეშე, 2009 წელს გაწეული მომსახურებისათვის, 2010 წლის ასიგნებიდან, შ.პ.ს. ,,პრაიმტაიმს", შ.პ.ს. ,,ჯეოსელს", შ.პ.ს. ,,პრესტიჟს, სს ,,ვისოლ პეტროლიუმს", სსიპ ,,დაცვის პოლიციის დეპარტამენტს" და შპს ,,საარს" გადაერიცხათ შესაბამისად 0.7 ათასი, 4.4 ათასი, 6.5 ათასი, 21.8 ათასი, 22.2 ათასი და 44.8 ათასი ლარი.

ცესკოს მიერ აღნიშნული თანხების გადარიცხვაზე წარდგენილ საგადახდო მოთხოვნის დოკუმენტებში, სამეურნეო მოვლენის მოხდენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, არ შეესაბამება რეალურად არსებულს.

3. ,,ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" ინსტრუქციის მე-6 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების, აგრეთვე ''საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ'' საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მოთხოვნათა დარღვევით, ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის გარეშე, 2010 წლის იანვარში ანაზღაურებელია შპს ,,პრესტიჟისაგან" 2009 წლის დეკემბერში შეძენილი 6.5 ათასი ლარის ღირებულების 65 ცალი სასაჩუქრე ბარათი.

4. ცესკო-ს ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოებისათვის შპს ,,ფიჯი 777-ს შპს ,,ვესტის" საბანკო გარანტიების საფუძველზე წინასწარ გადაერიცხა 165.3 ათასი ლარი. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ საბანკო გარანტიების ვადის ამოწურვისას სამუშაოები არ იყო დასრულებული, ცესკოს შპს ვესტისთვის" და შპს ,,ფიჯი 777"-სთვის არ წარუდგენია მოთხოვნა საავანსო თანხის დაბრუნების ან ავანსად გაცემულ თანხაზე განახლებული საბანკო გარანტიის წარმოდგენის შესახებ. აღნიშნულთან მიმართებაში, ცესკოს ხელმძღვანელობამ იმსჯელოს, სამუშაოთა ვადაგადაცილების გამო, შპს ,,ფიჯი 777–თვის საჯარიმო სანქციის დაკისრების თაობაზე.

5. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისის მიერ სამსახურიდან დათხოვნილ თანამშრომლებს თ. ლიპარტელიანს და ა. ბროლაძეს ზედმეტად გადაეხადათ ხელფასი (შესაბამისად 488 და 481 ლარი) სულ 969 ლარი, რაც ბიუჯეტში დაბრუნებას ექვემდებარება.

ძირითადი ტექსტი.

1. დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა

კანონმდებლობით დადგენილი უფლებამოსილებების განსახორციელებლად ,,საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ'' საქართველოს 2009 წლის 4 დეკემბრის კანონით ცესკო-ს წლიური დამტკიცებული ბიუჯეტი 37229.0 ათასი ლარის ოდენობით განისაზღვრა. 2010 წლის 18 ივნისის და 19 ნოემბრის კანონებით შეტანილი ცვლილებების საფუძველზე ბიუჯეტმა შეადგინა შესაბამისად 39798.0 ათასი და 40345.0 ათასი ლარი. დაზუსტებული ბიუჯეტი 41046.1 ათასი ლარით განისაზღვრა, რაშიც აისახა საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი 701.1 ათასი ლარი. აუდიტის პერიოდში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის, ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, განხორციელებულია 13 ცვლილება 1373.8 ათას ლარზე.

დაზუსტებული ბიუჯეტი ორგანიზაციულ ჭრილში შესრულებულია 98.8%-ით. მათ შორის: ცესკოს აპარატში - 98.7%, არჩევნების ღონისძიებების დაფინანსებაში - 99.9%, პოლიტიკური პარტიების დაფინანსებაში - 98.8%, სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმების დასწავლების ცენტრში - 79.6%, უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელ საინვესტიციო პროექტებში და ამ პროექტების თანამონაწილეობასა და თანადაფინანსებაზე გათვალისწინებულ ასიგნებებში - 93.7%.

ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით დაზუსტებული ბიუჯეტი შესრულებულია 98.8%-ით. მათ შორის: შრომის ანაზღაურების მუხლით - 99.8%, საქონელი და მომსახურების მუხლით - 97.9%, სოციალური უზრუნველყოფის მუხლით - 89.3%, სხვა ხარჯების მუხლით - 97.6%, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით - 99.3%.

ცესკო-ს სისტემაში გადახდებმა (არაფინანსური აქტივების გარეშე) 39058.9 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო ფაქტობრივმა ხარჯმა - 37935.7 ათასი ლარი. გადახრა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის 1123.1 ათას ლარს შეადგენს, რომელიც გამოწვეულია ნაერთ ხარჯებში შემავალ კომპონენტებს შორის არსებული გადახრებით, კერძოდ:

,,საქონელი და მომსახურების" მუხლით გადახდის მეტობა ფაქტობრივ ხარჯთან 934.6 ათასი ლარით გამოწვეულია ცესკოს აპარატში - 123.9 ათასი ლარით, არჩევნების ღონისძიებების დაფინანსებაში - 729.6 ათასი ლარით, სსიპ-საარჩევნო სისტემის განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრში - 81.1 ათასი ლარით გადახდების ფაქტობრივ ხარჯზე გადამეტებით.[1]

,,სხვა ხარჯების'' მუხლში 919.8 ათასი ლარის გადახდების მეტობა ფაქტობრივ ხარჯთან შედარებით გამოწვეულია არჩევნების ღონისძიებების დაფინანსებაში 61.9 ათასი ლარით და უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელ საინვესტიციო პროექტებში 857.9 ათასი ლარით გადახდების ფაქტობრივ ხარჯზე გადამეტებით.

ცესკო-ს სისტემაში შემავალი სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრში დაზუსტებულ ასიგნებასა (645.6 ათასი ლარი) და გადახდას (513.9 ათასი ლარი) შორის 20.4%-ის შეუსაბამობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი

[1] გადახდასა (საკასო ხარჯს) და ფაქტობრივ ხარჯს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია თანხების წინასწარი (ავანსად) გადახდით და სამუშაოების (მომსახურების) შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის აუდირებულ პერიოდში წარმოუდგენლობით.

თვითმმართველობის არჩევნებისათვის საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეების ინტენსიური სწავლების კურსის ჩასატარებლად ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო 100.0 ათასი ლარი, თუმცა ცენტრმა მოიპოვა დაფინანსება გაეროს განვითარების პროგრამიდან (UNDP) და შესაბამისად მოხდა საბიუჯეტო ხარჯების ეკონომია. აღნიშნულის შესახებ ეცნობა ფინანსთა სამინისტროს.

2. აუდიტის ობიექტის მიერ საფინანსო-სამეურნეო ოპერაციების განხორციელებისას მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის მდგომარეობა

2.1 ცესკო-ს აპარატის მიერ განხორციელებული ტრანზაქციების ტესტირება

ცენტრალური საარჩევნო კომისიის აპარატში გადახდასა (5773.1 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების გარეშე) და ფაქტობრივ ხარჯს (6219.3 ათასი ლარი) შორის სხვაობა 446.2 ათას ლარს შეადგენს, რაც გამოწვეულია ''საქონელი და მომსახურების'' მუხლში 123.9 ათასი ლარის გადახდის ფაქტობრივ ხარჯზე გადამეტებით და ძირითად საშუალებებზე 570.1 ათასი ლარის ცვეთის დარიცხვით.

ცალკეული მუხლების მიხედვით მდგომარეობა ასეთია:

,,თანამდებობრივი სარგო"

ცესკო-სა და მოქალაქეებს თემურ ლიპარტელიანსა და ანდრო ბროლაძეს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებიდან (N88, 28.12.2009 და N124,29.06.2010) თემურ ლიპარტელიანთან ხელშეკრულება ვადამდე შეწყდა ცესკოს თავმჯდომარის 2010 წლის 1 თებერვლის N02-4 ბრძანების საფუძველზე, ხოლო ანდრო ბროლაძის ხელშეკრულებას ვადა გაუვიდა 2010 წლის 1 ოქტომბერს. მიუხედავად ამისა, თ. ლიპარტელიანს თებერვალში ჩაერიცხა ხელფასი 488 ლარი, ხოლო ა. ბროლაძეს ოქტომბერში - 481 ლარი. აღნიშნული თანხები სულ 969 ლარი ექვემდებარება ბიუჯეტში დაბრუნებას.

,,შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება"

გადახდამ და ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა თითოეულმა 93.9 ათასი ლარი. ტესტირების შედეგად ხაზინის და უწყისის მონაცემებს შორის გამოვლინდა 295 ლარის სხვაობა, რადგან ნაცვლად ,,საქონელი და მომსახურების'' მუხლისა ხარჯი გაწეულია ,,თანამდებობრივი სარგოს'' მუხლით.

,,მივლინება"

გადახდამ შეადგინა 153.6 ათასი ლარი, ფაქტობრივმა ხარჯმა 132.9 ათასი ლარი. სხვაობა გამოწვეულია წლის მანძილზე დებიტორული დავალიანებების ზრდით 20.7 ათასი ლარით.[2]

,,ოფისის ხარჯები"

საანგარიშო პერიოდში ''ოფისის ხარჯის'' მუხლით გადახდამ 1002.8 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო ფაქტობრივმა ხარჯმა 923.2 ათასი ლარი. სხვაობა 79.6 ათასი ლარი მოიცავს შპს ''ჯეოსელზე'' და შპს ''მაგთიკომზე'' წინასწარ გადარიცხული თანხებს (3,3 ათასი ლარი), აგრეთვე შპს ''იბერიაზე'' შენობის მიმდინარე რემონტისათვის გადარიცხულ თანხას (17,8 ათასი ლარი), რომელზედაც სამუშაოების შესრულების დოკუმენტაცია არ არის წარმოდგენილი. გარდა ამისა, 58,5 ათასი ლარი

[2] დებიტორული დავალიანების ზრდა გამოწვეულია წინასწარ (ავანსად) გადახდილი სამივლინებო თანხებით, რომელიც აუდირებულ პერიოდში არ არის დახურული.

წარმოადგენს შეძენილი მატერიალური ფასეულობებისათვის გადახდილ თანხებს, რომელიც ხარჯში გატარებული არ არის.[3]

ცესკო-ს ადმინისტრაციული შენობის სახურავის გამაგრებისა და ღიობების ჰერმეტიზაციის სამუშაოებისათვის შ.პ.ს. ,,იბერია"-სთან 14.7 ათას ლარზე გაფორმებული ხელშეკრულებისა (N426/05, 17.09.10) და შ.პ.ს. სადაზღვევო კომპანია ,,ვესტის" საბანკო გარანტიის (N005/4831 BG.C) საფუძველზე, შ.პ.ს. ,,იბერია"-ს წინასწარ გადაერიცხა 14,7 ათ. ლარი. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა ამოიწურა 2010 წლის 23 ოქტომბერს. აღნიშნული პერიოდისათვის სამუშაოები დასრულებული არ იყო. შემსყიდველს გარანტორისათვის არ წარუდგენია მოთხოვნა თანხის დაბრუნების თაობაზე და შესაბამისად, არც სადაზღვევო კომპანიას არ დაუბრუნებია გარანტიის საფუძველზე გადარიცხული თანხა. ამასთან, ცესკოს არც შ.პ.ს. ,,იბერია"-სთვის არ მოუთხოვია სამშენებლო სამუშაოების დროულად დასრულება ან ავანსად გაცემულ თანხაზე განახლებული საბანკო გარანტიის წარმოდგენა. შესაბამისად, დარღვეულია ,,სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ'' დებულების 26-ე მუხლის მე-18 პუნქტების მოთხოვნები, რომლის მიხედვითაც წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველ ორგანიზაციას წინასწარ გადასახდელი თანხის იდენტური ოდენობის გარანტია იმ ფორმითა და მოქმედების ვადით, რომელიც სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით იქნება გათვალისწინებული. გარდა ამისა, ცესკოსა და შპს ,,იბერია"-ს შორის 2010 წლის 15 ნოემბერს 3.1 ათას ლარზე გაფორმებული ხელშეკრულებით (N464/05) შპს. ,,იბერია" ვალდებულებას იღებდა თუნუქით გადაეხურა ცესკოს ადმინისტრაციული შენობის ნაწილი. 2010 წლის 15 დეკემბერს გაფორმდა სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი, თუმცა მიღება - ჩაბარების აქტს თან არ ახლავს შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი ფორმა N2, რის გამოც შპს. ,,იბერია" (17.8 ათასი ლარი) დებიტორულ დავალიანებაში ირიცხება.

,,ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა- შენახვის ხარჯები''

18.5 ათასი ლარის სხვაობა ფაქტობრივ ხარჯსა (119.6 ათასი ლარი) და გადახდას (138.1 ათასი ლარი) შორის წარმოადგენს საავტომობილო საწვავის ტალონების შესაძენად წინასწარ გადარიცხულ თანხებს, რომელიც საანგარიშო პერიოდში დახარჯული არ არის.

,,სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება"

გადახდასა (275.3 ათასი ლარი) და ფაქტობრივ ხარჯს (271.8 ათასი ლარი) შორის 3.4 ათასი ლარის სხვაობა გამოწვეულია ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსათვის გადარიცხული თანხით, რაც ხარჯებში გატარდება საექსპერტო დასკვნის წარმოდგენის შემდეგ.

ცესკო-სა და შ.პ.ს. ,,პრესტიჟს' შორის 2009 წლის 28 დეკემბერის N163/05 ხელშეკრულების შესაბამისად შეძენილია 6.5 ათასი ლარის ღირებულების 65 ცალი სასაჩუქრე ბარათი, რომლის გადმოცემაზე გაფორმებულია მიღება-ჩაბარების აქტი (29.12.2009წ), თუმცა ვერ იქნა წარმოდგენილი სასაჩუქრე ბარათების გაცემის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის არქონის მიუხედავად 6.5 ათასი ლარი გატარებულია ხარჯებში, ხოლო მიმწოდებელს თანხა გადაერიცხა 2010 წლის 15 იანვარს მიმდინარე წლის ასიგნებიდან. შედეგად, დარღვეულია ,,ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" ინსტრუქციის მე-6 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების მოთხოვნები.

---

[3] 58.5 ათასი ლარის საქონელი შეძენილია აუდირებულ პერიოდში, მაგრამ ექსპლუატაციაში არ შესულა და არ არის ხარჯებში ასახული.

2.2. არჩევნების ღონისძიებების დაფინანსების კოდით განხორციელებული ტრანზაქციების შერჩევითი შემოწმება

2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს, თბილისის თვითმმართველობის ორგანოს - საკრებულოს, თბილისის მერისა და საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნების უზრუნველსაყოფად გამოყოფილი იქნა 24450.0 ათასი ლარი, საიდანაც ათვისებულია 24419.6 ათასი ლარი. არჩევნების ღონისძიებების დაფინანსებაში გადახდასა (23040.5 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების გარეშე) და ფაქტობრივ ხარჯს (22387.4 ათასი ლარი) შორის სხვაობა 653.1 ათას ლარს შეადგენს, რაც გამოწვეულია ,,საქონელი და მომსახურების'' მუხლში 729.6 ათასი ლარის და ,,სხვა ხარჯების" მუხლში 61.9 ათასი ლარის გადახდის ფაქტობრივ ხარჯზე მეტობით და ძირითად საშუალებებზე 138.4 ათასი ლარის ცვეთის დარიცხვით.

ცალკეული მუხლების მიხედვით მდგომარეობა ასეთია:

,,თანამდებობრივი სარგო"

საქართველოში არსებული 76 ოლქიდან არჩევნები ჩატარდა 73 ოლქში[4], რომელთა საარჩევნო უბნების რაოდენობა ქვეყნის მასშტაბით შეადგენდა 3694, ხოლო არჩევნების ჩატარებაში მონაწილეობდა ცესკოს დაახლოებით 49 ათასი თანამშრომელი. ,,თანამდებობრივი სარგოს'' მუხლით გადახდამ და ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა თითოეულმა 13037.9 ათასი ლარი, რაც შესაბამისობაშია ობიექტის მიერ წარმოდგენილ საბალანსო მონაცემებთან, სახელფასო უწყისებთან, ხაზინის და კადრების მონაცემებთან.

ტრანზაქციების განხორციელებისას მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის მდგომარეობა შემოწმებული იქნა სამგორის N6 და გლდანის N10 საოლქო საარჩევნო კომისიების მაგალითზე. შერჩევის კრიტერიუმად განისაზღვრა ქ. თბილისში ამ ოლქებზე ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსების მოცულობა. სამგორის N6 ოლქში არჩევნები ჩატარდა 123 უბანში, რომელთა თანამშრომლების საერთო რაოდენობამ არჩევნების პერიოდში 1617 წევრი შეადგინა, ხოლო დაფინანსებამ ,,თანამდებობრივი სარგოს'' მუხლით - 445.8 ათასი ლარი (არჩევნების ღონისძიებების დაფინანსებიდან - 415.1 ათასი ლარი, აპარატიდან - 30.7 ათასი ლარი). გლდანის N10 ოლქში არჩევნები ჩატარდა 115 უბანში, რომელთა თანამშრომლების საერთო რაოდენობამ 1512 წევრი შეადგინა, ხოლო დაფინანსებამ ,,თანამდებობრივი სარგოს'' მუხლით - 427.2 ათასი ლარი (არჩევნების ღონისძიებების დაფინანსებიდან - 396.0 ათასი ლარი, აპარატიდან - 31.2 ათასი ლარი).

,,დანამატი"

ამ მუხლით თანხების ოდენობა განისაზღვრა და გადახდა განხორციელდა საქართველოს საარჩევნო კოდექსისა[5] და მის საფუძველზე ცესკოს მიერ გამოცემული განკარგულებებით[6] და

---

[4]2008 წლის აგვისტოს მოვლენების გამო არჩევნები არ ჩატარებულა ახალგორის, ლიახვისა და ზემო აფხაზეთის საოლქო საარჩევნო კომისიებში.

[5]არასამუშაო დრო და ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურდება წინასაარჩევნო და საარჩევნო პერიოდში (3 თვის განმავლობაში), ცესკოს მიერ დადგენილი ოდენობით, არჩევნების ჩასატარებლად გამოყოფილი ფულადი სახსრებიდან. მუხლი 23. პუნქტი 3 - ცესკოს წევრებისა და აპარატის თანამშრომლებისათვის. მუხლი 24. პუნქტი 5- საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის, ხოლო საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის არასამუშაო დრო და ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურდება მხოლოდ საარჩევნო პერიოდში, ცესკო-ს მიერ დადგენილი ოდენობით, არჩევნების ჩასატარებლად გამოყოფილი ფულადი სახსრებიდან.

[6]N25/2010; 11.02.10.N81/2010; 30.03.10.N82/2010; 30.03.10.

ბრძანებებით[7]. 2010 წელს გადახდამ და ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა თითოეულმა 2302.0 ათასი ლარი, რაც შესაბამისობაშია ობიექტის მიერ წარმოდგენილ საბალანსო მონაცემებთან, უწყისებთან, ხაზინის და კადრების მონაცემებთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციით, აპარატის თანამშრომლებზე გაცემულია 1033.1 ათასი ლარი, ხოლო საოლქო საარჩევნო კომისიებზე - 1268.9 ათასი ლარი. მათ შორის: სამგორის და გლდანის საოლქო საარჩევნო კომისიებმა დანამატის სახით მიიღეს თითოეულმა 19.6 ათასი ლარი.

,,ოფისის ხარჯები"

ფაქტობრივ ხარჯსა (1915.6 ათასი ლარი) და გადახდას (2611.8 ათასი ლარი) შორის 696.2 ათასი ლარის სხვაობა გამოწვეულია საწყობში არსებული 530.9 ათასი ლარის მატერიალური მარაგებით და 165.3 ათასი ლარის გადარიცხვით შპს ,,ფიჯი -777"-ზე, რომელიც 2011 წლის 1 იანვრისათვის დებიტორულ დავალიანებაში ირიცხება. აღსანიშნავია, რომ შპს ,,ფიჯი -777"-თან ფასთა კოტირებით 198.3 ათას ლარზე გაფორმებული ხელშეკრულების (N235/05. 05.05.10) თანახმად, ცესკო-ს ადმინისტრაციულ შენობაში სარემონტო სამუშაოები 2010 წლის 29 მაისს უნდა დასრულებულიყო. აღნიშნული თანხიდან 33.0 ათასი ლარი გადარიცხულია სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად, ხოლო 165.3 ათასი ლარი გადახდილია წინასწარ სადაზღვევო კომპანია შპს ,,ვესტის" მიერ გაცემული საბანკო გარანტიების (N005/3947 BGC და N005/4164 BGC) საფუძველზე, რომელთა მოქმედების ვადა ამოწურულია შესაბამისად 2010 წლის 6 ივნისს და 4 ივლისს. მიუხედავად იმისა, რომ სამუშაოების დასრულებაზე მიღება-ჩაბარების აქტი არ გაფორმებულა და გარანტიების მოქმედების ვადაც ამოწურული იყო, ცესკო-ს შპს ,,ვესტისგან" არ მოუთხოვია წინასწარ გადარიცხული თანხა. აღნიშნულთან მიმართებაში, ცესკოს ხელმძღვანელობამ უნდა იმსჯელოს საჯარიმო სანქციის დაკისრების თაობაზე, შპს ,,ფიჯი 777–ის მიერ სამუშაოთა ვადაგადაცილების გამო.

2.3.პოლიტიკური პარტიების დაფინანსება

სახელმწიფო ბიუჯეტიდან პოლიტიკური პარტიების დაფინანსებისას ცესკო ხელმძღვანელობს ''მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონით. სააუდიტო პერიოდში პოლიტიკური პარტიების დაფინანსებაზე დახარჯულია 7020.7 ათასი ლარი. მათ შორის: უშუალოდ პოლიტიკურ პარტიებზე - 4705.7 ათასი ლარი, საქართველოს საარჩევნო კოდექსის 129[14]-ე მუხლის შესაბამისად, საარჩევნო სიების მონიტორინგისათვის პოლიტიკურმა პარტიებმა მიიღეს 1200.0 ათასი ლარი, ხოლო სსიპ-საარჩევნო სისტემის განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მეშვეობით - 1115.2 ათასი ლარი. ამასთან ერთად, პოლიტიკურმა პარტიამ - ''მოძრაობა ერთიანი საქართველოსათვის'' დააბრუნა საარჩევნო სიების მონიტორინგისათვის მიღებული თანხა 100.0 ათასი ლარი, რომელიც თანაბრად გადაუნაწილდა სხვა პარტიებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საკასო და ფაქტობრივ ხარჯებს შორის სხვაობა არ დაფიქსირებულა.

2.4.დებიტორულ -კრედიტორული დავალიანებები

[7]N05-4; 26.03.10.N05-7; 20.04.10.N05-11. 20.05.10. N05-14; 15.06.10. N05-16; 26.06.10

	დებიტორი			კრედიტორი	
01.01.10	01.01.11	ზრდა	01.01.10	01.01.11	კლება
16.2	**1517.6**	**1501.4**	**2966.3**	**2960.8**	**5.5**

ცხრილიდან ჩანს, რომ 2010 წლის 1 იანვრისათვის ცესკო-ს ერიცხებოდა 16.2 ათასი ლარის დებიტორული დავალიანება, რომელიც წარმოადგენს 1993 წლის საპარლამენტო და 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს ავსტრიის რესპუბლიკაში (1.7 ათასი ლარი) და ამერიკის შეერთებულ შტატებში (1.6 ათასი ლარი) საქართველოს საელჩოებისათვის გადარიცხულ და აუთვისებელ თანხებს. ასევე, 12.8 ათასი ლარის დავალიანება ირიცხება 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით საზღვარგარეთ მივლინებულ 18 პიროვნებაზე. 2010 წლის განმავლობაში დებიტორული დავალიანება გაიზარდა 1501.4 ათასი ლარით (მათ შორის: უშუალოდ ცესკო - 1002.6 ათასი ლარი, სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი - 515.0 ათასი ლარი) და 2011 წლის 1 იანვრისათვის შეადგენდა 1517.6 ათას ლარს, რაც გამოწვეულია შემდეგი მიზეზებით:

774.4 ათასი ლარი ირიცხება საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) წარმომადგენლობაზე. აღნიშნული თანხიდან 135.0 ათას ლარზე ცესკოს აღებული აქვს ვალდებულება, ხოლო 639.4 ათასი ლარის ხარჯვა ხდება ცესკო-სგან დამოუკიდებლად ფინანსთა სამინისტროს მიერ ცესკო-ს სახაზინო კოდის გამოყენებით. აღნიშნული თანხებით დაფინანსდა გაეროს განვითარების პროგრამის ,,დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების, სამართლიანი საარჩევნო პროცესების და აქტიური სამოქალაქო მონაწილეობის პროექტი". [8]

165.3 ათასი ლარი გადახდილია წინასწარ შპს ,,ფიჯი-777"-თვის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებზე და არ არის წარმოდგენილი შესრულების დოკუმენტაცია.

20.7 ათასი ლარი ცესკოს თანამშრომლებზე მივლინებისათვის წინასწარ გადახდილი თანხა.

17.8 ათასი ლარი გადახდილია წინასწარ შპს ,,იბერიასთვის" სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებზე და არ არის წარმოდგენილი შესრულების დოკუმენტაცია.

1.7 ათასი და 1.6 ათასი ლარი შპს ,,ჯეოსელზე" და შპს ,,მაგთიკომზე" წინასწარ გადარიცხული თანხაა.

92.1 ათასი ლარი პოლიტიკურ პარტიებზე გადარიცხული ფინანსური სახსრებიდან დარჩენილი აუთვისებელი თანხაა, რომელთა ხარჯვაზე ანგარიშგება წარმოდგენილი იქნება 2011 წლის ბოლოს.

376.1 ათასი ლარი არასამთავრობო ორგანიზაციებზე გადარიცხული თანხაა, რომელთა ხარჯვაზე არ იყო წარმოდგენილი ფინანსური ანგარიში.

46.8 ათასი ლარი ცესკოს სისტემაში შემავალი სსიპ-ის მიერ დაკავებული ფართის რემონტისათვის ი/მ ზაზა მიქიაშვილზე წინასწარ გადარიცხული თანხაა, რაზეც 2011 წლის 1 იანვრისათვის არ იყო წარმოდგენილი სამუშაოების შესრულების დოკუმენტაცია (ფორმა 2).

2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ცესკოს ერიცხება 2966.3 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანება. მათ შორის, 2960.8 ათასი ლარი 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით

[8] 135.0 ათასი ლარი არის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანადაფინანსების თანხა, რომელზეც არ იყო წარმოდგენილი UNDP –ის ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ხოლო 639.4 ათასი ლარი არის გრანტი, რომელიც ასევე იხარჯება UNDP –ის მიერ ცესკოს მონაწილეობის გარეშე.

წარმოქმნილი შრომის ანაზღაურების, დამქირავებლიდან ანარიცხებისა და საადვოკატო მომსახურების დავალიანება.

ხანდაზმული კრედიტორული დავალიანების თანხები უცვლელია, მათ სალიკვიდაციოდ გატარებული არ არის ქმედითი ღონისძიებები. კრედიტორული დავალიანება 2011 წლის 1 იანვრისათვის 2960.8 ათას ლარს შეადგენდა.

2.5. ცესკოს მიერ განხორციელებული შესყიდვები

2010 წლის განმავლობაში ცესკოს მიერ სახელმწიფო შესყიდვები განხორციელებულია ტენდერის, ფასთა კოტირების და ერთ პირთან მოლაპარაკების მეშვეობით. მათ შორის: ოთხი ტენდერის (საწვავი, საკანცელარიო საქონელი და კომპიუტერული ტექნიკა) – 858.4 ათას ლარზე და რვა შემთხვევაში ფასთა კოტირების საშუალებით (პროგრამული უზრუნველყოფა, სერვერი, კარტრიჯის დატენვა, ბრენდირებული პროდუქცია, ვიდეო–სამეთვალყურეო სისტემების მონტაჟი, ცესკოს შენობის რეკონსტრუქცია და სატელეფონო მომსახურება) თანხით – 599.5 ათას ლარზე.

ცესკო-ს მიერ შესყიდვების სააგენტოში 2009 წლის 15 დეკემბერს (წერილი N05/913) წარდგენილი სახელმწიფო შესყიდვების გეგმის თანახმად, ტენდერის საშუალებით გათვალისწინებული იყო ქვემოთ ჩამოთვლილი საქონლისა და მომსახურების შესყიდვა. კერძოდ, მარკირების სითხე - 200.7 ათასი ლარი, ასლგადამღები აპარატები (მ.შ. მულტიფუნქციური) - 600.6 ათასი ლარი, სარეკლამო-სააგიტაციო კლიპის დამზადება - 210.1 ათასი ლარი, საარჩევნო ურნები - 108.6 ათასი ლარი, ცესკოს საიმიჯო ფილმი - 81.3 ათასი ლარი, მედია მონიტორინგი - 79.1 ათასი ლარი, ბიულეტენების საბეჭდი ქაღალდი - 77.9 ათასი ლარი, ბიულეტენების ბეჭდვა - 610.8 ათასი ლარი, პერსონალური კომპიუტერები - 104.7 ათასი ლარი, სერტიფიცირების სახელმძღვანელოების ბეჭდვა - 32.0 ათასი ლარი. სულ 2105.8 ათასი ლარი. თუმცა, ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებების[9] მიხედვით, გადაუდებელი აუცილებლობის გამო, საქართველოს საარჩევნო კოდექსის 25-ე მუხლის 4[1] პუნქტის, 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" და ,,გ" ქვეპუნქტების და ,,სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების 23-ე მუხლის ,,გ" ქვეპუნქტის საფუძველზე, აღნიშნული შესყიდვები განხორციელებულია ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით.

2.6. 2009 წელს შესრულებული მომსახურების ანაზღაურება 2010 წლის ასიგნებიდან ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმების გარეშე, არამართებულად გაფორმებული დოკუმენტების საფუძველზე.

აუდიტით გამოვლინდა, რომ შ.პ.ს. ,,პრაიმტაიმზე", შ.პ.ს. ,,პრესტიჟზე, სს ,,ვისოლ პეტროლიუმზე", სსიპ ,,დაცვის პოლიციის დეპარტამენტსა" და შპს ,,საარზე" განხორციელებულ გადახდებზე ვალდებულების დოკუმენტები ხაზინის მიერ 2010 წლის იანვარშია რეგისტრირებული და მის საფუძვლად ცესკოს მიერ წარდგენილ ვალდებულების დოკუმენტებში არასწორადაა მითითებული 2009 წელს მოქმედი ხელშეკრულებები, რადგან მიმდინარე წელს აღებული ვალდებულების საფუძვლად არ შეიძლება გამოყენებული იყოს წინა წელს მოქმედი ხელშეკრულება თუ იგი გარდამავალი არ არის. დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28

[9] N01-20. 05.02.10; N01-26. 10.02.10; N01-60. 01.04.10; N01-65. 12.04.10; N01-67. 14.04.10; N01-70/1. 10.05.10; N01-74. 18.05.10

დეკემბრის N1318 ბრძანებით დამტკიცებული ,,სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ" ინსტრუქციის მე–4 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები, რომლის თანახმად, ვალდებულების დოკუმენტს ორგანიზაცია ადგენს წლიური საბიუჯეტო კანონით გათვალისწინებული ხარჯების თითოეულ მუხლზე ნაზარდი გეგმიური ასიგნებების ფარგლებში, სახელმწიფო შესყიდვაზე გაფორმებული ხელშეკრულების მონაცემების მიხედვით.

გარდა ამისა, ცესკოს მიერ აღნიშნული თანხების გადარიცხვაზე წარდგენილ საგადახდო მოთხოვნის დოკუმენტებში, სამეურნეო მოვლენის მოხდენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, არ შეესაბამება რეალურად არსებულს.

კერძოდ, ხაზინის მიერ აღნიშნული თანხების გადარიცხვა (შ.პ.ს. ,,პრაიმტაიმი", შპს ,,ჯეოსელი" და შ.პ.ს. ,,პრესტიჟი") განხორციელდა ცესკოს მიერ წარდგენილ ისეთი საგადახდო მოთხოვნის დოკუმენტებით რომელშიც დაფიქსირებულ ანგარიშ/ფაქტურებში, გაურკვეველი მიზეზების გამო, ნაცვლად რეალურად არსებული თარიღებისა (შესაბამისად, 15.12.09; 31.12.09; 29.12.09) მითითებული იყო 2010 წლის 18 და 14 იანვარი, ხოლო სსიპ ,,დაცვის პოლიციის დეპარტამენტზე" და სს ,,ვისოლ პეტროლეუმ ჯორჯიაზე" გამოწერილ საგადახდო მოთხოვნებში (N38. 13.01.10; N40. 13.01.10) ნაცვლად სამეურნეო მოვლენის მოხდენის დამადასტურებელი დოკუმენტისა, დაფიქსირებული იყო ურთიერთშედარების აქტები, რომელიც წარმოდგენილი ვერ იქნა. დარღვეულია N1318 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე–3 მუხლის მე–2 პუნქტის და მე–7 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები, რომლის მიხედვით ვალდებულების, საგადახდო მოთხოვნისა და დამოწმების დოკუმენტებში შეტანილი მონაცემების სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება ორგანიზაციას, ხოლო საგადახდო მოთხოვნაში მიეთითება სამეურნეო მოვლენის მოხდენის დამადასტურებელი დოკუმენტი.

აღნიშნულმა დარღვევებმა გამოიწვია ,,საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ'' საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მოთხოვნათა დარღვევა, რადგან 2010 წლის იანვარში ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმების გარეშე, 2009 წელს გაწეული მომსახურებისათვის, 2010 წლის ასიგნებიდან, შ.პ.ს. ,,პრაიმტაიმს", შ.პ.ს. ,,ჯეოსელს", შ.პ.ს. ,,პრესტიჟს, სს ,,ვისოლ პეტროლიუმს", სსიპ ,,დაცვის პოლიციის დეპარტამენტს" და შპს ,,საარს" გადაერიცხათ შესაბამისად 0.7 ათასი, 4.4 ათასი, 6.5 ათასი, 21.8 ათასი, 22.2 ათასი და 44.8 ათასი ლარი.

2.7. ცესკო-ს მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია

ცესკო-ს თავმჯდომარის ბრძანებით[10] შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიის (თავმჯდომარე - ოთარ ბუსკივაძე) დასკვნის თანახმად, დაკარგულია 20.6 ათასი ლარის ღირებულების 16 ერთეული პორტატული კომპიუტერი ,,TOSHIBA Sat A300-15". მათგან ნაწილზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, ხოლო კრწანისის N4 საოლქო საარჩევნო კომისიაში 5 კომპიუტერის დანაკლისი თანხით 3.5 ათასი ლარი ანაზღაურებულია მატერიალურად პასუხისმგებელი პირის[11] მიერ ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე. წარმოდგენილი ცნობის თანახმად, 2008 წლის საომარი მოქმედებების დროს განადგურებულია ლიახვის, ახალგორისა და

[10]2010 წლის 30 ნოემბრის N01/121 ბრძანება ,,ცესკოს ბალანსზე რიცხული აქტივების და ვალდებულებების საინვენტარიზაციო კომისიის შექმნის თაობაზე"

[11] ანაზღაურებულია ლევან თანანაშვილის მიერ საგადახდო დავალება N5. 21.02.11.

ზემო აფხაზეთის საოლქო საარჩევნო კომისიებზე რიცხული 118.8 ათასი ლარის მატერიალური ფასეულობები.

სამგორის N6 და გლდანის N10 საოლქო სარჩევნო კომისიების ბალანსებზე რიცხული ძირითადი აქტივების ინვენტარიზაციით დადგინდა, რომ გლდანის საოლქო საარჩევნო კომისიაში ძირითადი აქტივების საბალანსო (13.0 ათასი ლარი) და ფაქტობრივი მონაცემები ურთიერთშესაბამისობაშია, ხოლო სამგორის საოლქო საარჩევნო კომისიის ბალანსში ძირითადი აქტივების 2010 წლის საბოლოო ნაშთად ნაცვლად 14.4 ათასი ლარისა, აღრიცხული იყო 59.7 ათასი ლარი. შეუსაბამობა გამოიწვია წინა პერიოდის ბალანსებში ოლქის მიერ მიღებული და დაბრუნებული ძირითადი აქტივების არასწორმა ბუღალტრულმა აღრიცხვამ. აღნიშნულთან დაკავშირებით ცესკოსა და სამგორის საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელობას შორის გაფორმებულია ურთიერთშედარების აქტი, რის შედეგადაც მოხდა წარმოდგენილი ბალანსის კორექტირება. ამასთან, წარმოდგენილი ცნობის თანახმად, 2008 და 2010 წლებში მოპარულია 2 ერთეული ასლგადამღები და ერთი ერთეული ფაქსის აპარატი, რის შესახებ ეცნობა შსს ისანი-სამგორის პოლიციის სამმართველოს[12]

3. ფინანსური ანგარიშგების შედგენისა და წარდგენის მდგომარეობა

ცესკო-ს სისტემის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შედგება ცენტრალური საარჩევნო კომისიის აპარატის, არჩევნების ღონისძიებების დაფინანსების, პოლიტიკური პარტიების დაფინანსების, სსიპ-საარჩევნო სისტემის განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრისა და უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტების ფინანსური ანგარიშებისაგან.

ცესკო-ს 2010 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში საქართველოს ფინანსთა სამინისტროში წარდგენილია 2011 წლის 28 თებერვალს[13].

აუდიტის ობიექტისათვის მიცემული რეკომენდაციები

– მკაცრად გააკონტროლოს შესყიდვის ხელშეკრულებების პირობათა შესრულების პროცესი, იმსჯელოს საჯარიმო სანქციების დაკისრების თაობაზე.

– გაატაროს ქმედითი ღონისძიებები დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების შესამცირებლად.

– არ დაუშვას ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმების გარეშე გასული წლის დავალიანებების დაფარვა მიმდინარე წლის ასიგნებიდან.

– დაიცვას შესაბამისი ინსტრუქციებით დადგენილი წესი ვალდებულებისა და საგადახდო მოთხოვნის დოკუმენტებში მონაცემების შეტანის სისწორესთან დაკავშირებით.

– შეიმუშავოს შიდა კონტროლის პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფენ მატერიალურ ფასეულობათა დანაკარგების თავიდან აცილებას. სრულად განახორციელოს ფაქტობრივად არსებული და ბუღალტრულად რიცხული მატერიალური ფასეულობების ურთიერთშედარება და დააფიქსიროს საბოლოო შედეგები.

აუდიტის აქტის სამართლებლივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი.

[12] აღძრულია სისხლის სამართლის საქმეები N004082304. 29.04.08; N004101720. 24.05.10

[13] წერილი N 05/265. 28.02.11

,,საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ" საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გაქვთ უფლებამოსილება, აუდიტის აქტი, მისი ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში გაასაჩივროთ მხოლოდ საქართველოს კონტროლის პალატის დავების განმხილველ საბჭოში ქ.თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი N96.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები

ბადრი გრძელიძე

კახაბერ უშიკიშვილი

აუდიტის ობიექტის პასუხისმგებელი პირები

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის პერიოდში პასუხისმგებელი პირები იყვნენ:

ლევან თარხნიშვილი- თავმჯდომარე 2010 წლის 15 იანვრამდე;

ზურაბ ხარატიშვილი- თავმჯდომარე 2010 წლის 15იანვრიდან დღემდე;

დავით კირთაძე - თავმჯდომარის მოადგილე 2007 წლის 3 დეკემბრიდან დღემდე;

გიზო მჭედლიძე - მდივანი 2004 წლის 24 თებერვლიდან დღემდე;

ირაკლი ლატარია - საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი 2010 წლის 1 მარტამდე;

დიმიტრი რამიშვილი - საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მ/შ 2010 წლის 1 მარტიდან 2010 წლის 1 ივლისამდე;

ოთარ ბუსკივაძე - საფინანსო და ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების სამმართველოს უფროსი 2010 წლის 1 ივლისამდე. საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მ/შ 2010 წლის 1 ივლისიდან 2010 წლის 17 სექტემბრამდე, ხოლო 2010 წლის 17 სექტემბრიდან დღემდე -საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი;

თეა ხუხია - საფინანსო და ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების სამმართველოს უფროსის მ/შ 2010 წლის 4 აგვისტოდან დღემდე;

ნესტორ ფაცაცია - სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი 2010 წლის 1 ივლისამდე;

ბექა ბეგიაშვილი - სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსის მ/შ 2010 წლის 1 ივლისიდან დღემდე;

ჯანსუღ კორძაია - მთავარი ბუღალტერი 2008 წლის 1 აპრილიდან დღემდე.

გამოყენებული ნორმატიული აქტები

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2010 წლის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის წინასწარი აუდიტის მასალები.

- საქართველოს კანონი - „საქართველოს საბიუჯეტოსისტემისშესახებ"
- საქართველოს კანონი - ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ"

- საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი
- საქართველოს საარჩევნო კოდექსი
- საქართველოს მთავრობის 11.06.09 წ. N108 დადგენილება ,,2010 წლისათვის მხარჯავი დაწესებულებების კადრებისა და ასიგნებების ზღვრული მოცულობების დამტკიცების შესახებ";
- საქართველოს მთავრობის განკარგულებები N90. 27.01.10 და N1382. 03.11.10;
- საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება N40. 04.02.10.
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 15.03.04 წ. N153 და 25.08.10 წ. N672 ბრძანებებით დამტკიცებული ,,საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია";
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 27.12.07 წ. N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია ,,ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ";
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 30.04.10 წ. N340 ბრძანებით დამტკიცებული,,სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების ფორმებისა და მათი წარდგენის ვადების დამტკიცების თაობაზე";
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 03.01.06 წ. N3 ბრძანებით დამტკიცებული დებულება ,,სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ".